



თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 6

2015 წლის 30 იანვარი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურისათვის“ მოძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54 ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

1. მიეცეს თანხმობა თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის გამგებელს, რათა მან უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, 1 წლის ვადით გადასცეს თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის შ.პ.ს. „ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახურს“ 42 ცალი 1.1 მ³ მოცულობის ნაგვის კონტეინერი, ღირებულებით 39900 ლარი.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის. ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი N-41).

საკრებულოს თავმჯდომარე



გ. კობახიძე

პაატა გიორგობიანი